საქართველოს მთავრობის განკარგულება

№422 2015 წლის 6 მარტი ქ. თბილისი

საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ეკონომიკაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საგარეო ფაქტორებმა და რეგიონში არსებულმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა მდგომარეობამ, მათ შორის, მნიშვნელოვნად შემცირდა ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკური ზრდის პროგნოზირებული მაჩვენებლები, რაც უარყოფით გავლენას ახდენს საქართველოს ძირითად ეკონომიკურ და ფისკალურ მაჩვენებლებზე, ფისკალური მდგრადობისა და საბიუჯეტო დეფიციტის დაბალი მაჩვენებლის შენარჩუნების მიზნით, 2015-2016 წლებში:

1. დაევალოთ საქართველოს სამინისტროებს, სახელმწიფო მინისტრების აპარატებს და საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ იმ მხარჯავ დაწესებულებებს, რომლებიც ექვემდებარებიან საქართველოს მთავრობის კონტროლს:

ა) „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში, ადმინისტრაციული ხარჯებისა და ზოგიერთი ღონისძიების დაფინანსების შემ-

საქართველოს რეგიონული
განვითარებისა და ინფრასტრუქტურის
სამინისტრო
№ 1393/01 " 11.03 2015 წ.
5 ფურცელი

ცირების შედეგად გამოთავისუფლებული რესურსის (დანართით განსაზღვრული პრინციპების შესაბამისად) და ამ რესურსის შესაძლო გამოყენების მიზნობრიობის თაობაზე ინფორმაცია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარუდგინონ არა უგვიანეს 2015 წლის 16 მარტისა;

ბ) მათ კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ(ებ)-ის/ა(ა)იპ(ებ)-ის კანონმდებლობით ნებადართული (საკუთარი) შემოსავლების ფარგლებში დაგეგმილი ადმინისტრაციული ხარჯების შემცირებისათვის სათანადო ღონისძიებების გატარება და მათი შეზღუდვა არა უმეტეს 2014 წელს გაწეული საკასო ხარჯის ოდენობით;

გ) მათ კონტროლს დაქვემდებარებული, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ღონისძიების გატარების შედეგად გამოთავისუფლებული რესურსის, ასევე, თავისუფალი ნაშთის სახელმწიფო ბიუჯეტში მიმართვის თაობაზე ინფორმაციის საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის წარდგენა არა უგვიანეს 2015 წლის 23 მარტისა.

2. ეთხოვოთ სახელმწიფო ბიუჯეტის მხარჯავ დაწესებულებებს (გარდა ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული მხარჯავი დაწესებულებებისა), ასევე, ავტონომიურ რესპუბლიკებს და ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული ღონისძიებების გატარება და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის ინფორმაციის წარდგენა არა უგვიანეს 2015 წლის 23 მარტისა.

3. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მხარჯავ დაწესებულებებს დაევალოთ, ხოლო, ამ განკარგულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ მხარჯავ დაწესებულებებს/ორგანოებს ეთხოვოთ, ამ

განკარგულებით განსაზღვრული ადმინისტრაციული ხარჯების შეზღუდვის პრინციპები გაითვალისწინონ 2016 და 2017 წლების ბიუჯეტების დაგეგმვის დროს.

4. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, ამ განკარგულების საფუძველზე მიღებული ინფორმაციის გაანალიზების შემდგომ, არა უგვიანეს 2015 წლის 1 აპრილისა, უზრუნველყოს განახლებული მაკროეკონომიკური და ფისკალური პარამეტრების საქართველოს მთავრობისათვის წარდგენა.

5. 2016 და 2017 წლების სახელმწიფო ბიუჯეტების პროექტების შემუშავებისას, უზრუნველყოფილ იქნეს სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების არანაკლებ 20%-ის გათვალისწინება საინვესტიციო/ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად.

6. საბიუჯეტო წლის მანძილზე, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 31-ე მუხლით განსაზღვრული წესით, წლიური ბიუჯეტის დაზუსტებისას, საინვესტიციო/კაპიტალური პროექტებისათვის დაგეგმილი გადასახდელების გადატანა მიმდინარე დანიშნულების ხარჯებისათვის დასაშვებია მხოლოდ საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

დანართი

საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების ძირითადი პრინციპები

ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრულმა მხარჯავმა დაწესებულებებმა, ამავე განკარგულებით განსაზღვრული ღონისძიებების გატარებისას, ძირითადად იხელმძღვანელონ შემდეგი პრინციპებით:

1. შრომის ანაზღაურების მუხლით 2015 წელს გაწეული ხარჯი თითოეული საბიუჯეტო ორგანიზაციისათვის არ უნდა აღემატებოდეს 2014 წლის საკასო ხარჯს.

2. ამ დანართის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წესისგან გამონაკლისი შეიძლება დაშვებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შრომის ანაზღაურების მუხლის ზრდა გამოწვეულია ორგანიზაციის ფუნქციებისა და კომპეტენციის ზრდიდან გამომდინარე გაზრდილი შრომის ანაზღაურების ფონდით.

3. ამ დანართის პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრული დებულებები ასევე გავრცელდეს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე.

4. მაქსიმალურად შეიზღუდოს მივლინების ხარჯების დაფინანსება, აიკრძალოს სასწავლო მივლინების ხარჯების დაფინანსება, თუ მიმწვევი მხარის მიერ არ ფინანსდება სამივლინებო ხარჯების არანაკლებ 80%.

5. შეძლებისდაგვარად შეიზღუდოს ოფისის მოვლა-შენახვასთან დაკავშირებული ხარჯები (მათ შორის, მიმდინარე რემონტის ხარჯები).

6. შემცირდეს საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მოხმარებული საწვავის ხარჯები 2014 წლის საკასო ხარჯთან შედარებით არანაკლებ 30%-

ით (გარდა იმ მანქანებისათვის საჭირო საწვავის ხარჯებისა, რომლებიც ემსახურებიან იმ ოპერატიული დანიშნულების ქვედანაყოფებს, რომელთა საქმიანობაც უკავშირდება ყოველდღიურად მუდმივ გადაადგილებას, პატრულირებას და ა.შ.).

7. შეიზღუდოს წარმომადგენლობითი ხარჯების დაფინანსება განსაკუთრებული აუცილებლობის გარეშე და შემცირდეს 2014 წელს გაწეული საკასო ხარჯი არანაკლებ 20%-ის ფარგლებში.

8. მაქსიმალურად შეიზღუდოს რბილი ინვენტარის და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული, საოფისე ტექნიკის და ინვენტარის (მათ შორის, კომპიტერული ტექნიკა) და სატრანსპორტო საშუალებების და ტექნიკის (გარდა სპეციალური დანიშნულების მანქანებისა და ტექნიკისა) შესყიდვის ხარჯები.

9. შემცირდეს ისეთი პროგრამების/ქვეპროგრამებისა და ღონისძიებების დაფინანსება, რომელთა გადავადების ან ნაწილობრივ გატარების შემთხვევაში, არ შეფერხდება შესაბამისი დარგის განვითარება.

10. აღნიშნული პრინციპების გათვალისწინების შეუძლებლობის შემთხვევაში, მხარჯვმა დაწესებულებამ, თითოეულ პროგრამულ კოდთან მიმართებაში, დასაბუთება წარუდგინოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს.